# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება

N 480 2018 წლის 4 ოქტომბერი ქ. თბილისი

## „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1.** „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებაში (სსმ, №103, 24/08/2010) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის“ დანართი №4 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №4

### სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების საფასური

| | მომსახურების დასახელება | მომსახურების საფასური (დღგ-ის ჩათვლით) ლარობით | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 1 | ტყის რესურსით სარგებლობის ბილეთის გაცემა მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნისათვის | 1 კუბური მეტრი – 100 ლარი | | | | | |
| 2 | მიწის ნაკვეთის შესახებ ინფორმაციის მომზადება: | მომსახურების საფასური (დღგ-ის ჩათვლით) ლარობით | | | | | |
| 2.1 | მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზის მომზადება | 0,1 ჰა-მდე – 150 ლარი | 0,1 ჰა-დან 1,0 ჰა-მდე –500 ლარი | 1 ჰა-დან 10 ჰა-მდე – 1000 ლარი | 10 ჰა-დან 100 ჰა-მდე – 2500 ლარი | 100 ჰა-დან 1000 ჰა-მდე – 3500 ლარი | 1000 ჰა-დან 5000 ჰა-მდე – 5000 ლარი |
| | შენიშვნა: მე-7 სვეტში მითითებულ ფართობზე მეტი ფართობის შემთხვევაში, მე-7 სვეტში მითითებულ მომსახურების საფასურს ემატება, შესაბამისად, მე-2 – მე-7 სვეტებში მითითებული მომსახურების საფასური ფართობის მიხედვით | | | | | | |
| 3 | სალიცენზიო ობიექტის მომზადება: | მომსახურების საფასური (დღგ-ის ჩათვლით) ლარობით | | | | | |
| 3.1 | სამონადირეო მეურნეობისათვის შერჩეული ფართობების კონტურების დადგენის მიზნით | 1 ჰექტარი – 1 ლარი | | | | | |
| 3.2 | სოჭის გირჩის მოპოვებისათვის ლიცენზიის გაცემის მიზნით შერჩეული ფართობების კონტურების დადგენა | 1 ჰექტარი – 1 ლარი | | | | | |
| 3.3 | გენერალური ლიცენზიისა და ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის მიზნით შერჩეული ფართობების კონტურების დადგენა | 1 ჰექტარი – 2 ლარი | | | | | |
| 4 | ხაზობრივი ნაგებობისათვის კუთვნილი მიწის ნაკვეთის | მომსახურების საფასური (დღგ-ის ჩათვლით) ლარობით | | | | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | შესახებ ინფორმაციის მომზადება | | | | | | |
| 4.1 | ხაზობრივი ნაგებობისათვის კუთვნილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზის მომზადება | 1 კმ-მდე – 100 ლარი | 1 კმ-იდან 5 კმ-მდე – 250 ლარი | 5 კმ-იდან 10 კმ-მდე – 500 ლარი | 10 კმ-იდან 100 კმ-მდე – 5 000 ლარი | 100 კმ-იდან 500 კმ-მდე – 15 000 ლარი | 500 კმ და მეტი – 30000 ლარი |
| 5 | ხე-ტყის დამზადების ბილეთის გაცემისათვის: | მომსახურების საფასური (დღგ-ის ჩათვლით) ლარობით | | | | | |
| 5.1 | 1 კუბური მეტრი ხე-ტყის მოპოვებისთვის (გარდა შირნაყარი ხე-ტყისა) | 3 ლარი | | | | | |
| 5.2 | 1 კუბური მეტრი შირნაყარი ხე-ტყის მოპოვებისთვის | 1 ლარი | | | | | |
| 6 | ტყეკაფის მონიშვნა (გარდა სოციალური ჭრების ფარგლებში მონიშნული ტყეკაფებისა) ან სახელმწიფო ტყის ფონდიდან ტერიტორიის ამორიცხვამდე მერქნული რესურსის წინასწარი აღრიცხვა | მომსახურების საფასური (დღგ-ის ჩათვლით) ლარობით | | | | | |
| 6.1 | მონიშნული ან აღრიცხული მერქნული რესურსის ერთი მ³-ისთვის | 3 ლარი | | | | | |
| 7 | ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემა ან/და სპეციალური ფირნიშებით მარკირება | მომსახურების საფასური (დღგ-ის ჩათვლით) ლარობით | | | | | |
| 7.1 | 1 კუბური მეტრი ხე-ტყისათვის | 3 ლარი | | | | | |
| 8 | მატერიალური სახის ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ფორმა | მომსახურების საფასური (დღგ-ის ჩათვლით) ლარობით | | | | | |
| 8.1 | 1 ცალი | 50 თეთრი | | | | | |
| 9 | სპეციალური ფირნიში | მომსახურების საფასური (დღგ-ის ჩათვლით) | | | | | |

| | | ლარობით | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9.1 | 1 ცალი | 50 თეთრი | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| 10 | საშეშე მერქნული რესურსის დაპობა-დაჩეხვა | 1 კუბური მეტრი – 20 ლარი.“. | | | | | |
| | | | | | | | |

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე